



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე


ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება № 38/3-10-02-2017წ.

ნიკოლოზ ნათენაძის საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსად დანიშვნის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „ც“ და „პ“ ქვეპუნქტებისა და 276-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 10 თებერვლის №1891 თანხმობის საფუძველზე:

1. დაინიშნოს ნიკოლოზ ნათენაძე საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსად 2017 წლის 10 თებერვლიდან.
2. განესაზღვროს ნიკოლოზ ნათენაძეს თვიური ხელფასი შემდეგი ოდენობით: თანამდებობრივი სარგო – 2220 ლარი და დანამატი – 2055 ლარი.
3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).


ირაკლი კობახიძე